2 შეხვედრა, 2 ფრე

ოდესა. ცენტრალური სტადიონი, 3 ნოემბერი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) - “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:1).

“ჩერნომორეცი”: იარჩუკი, კუზმინი, ლისენკო, რიაშკო, სირომიატნიკოვი, ჟუჩკო, სედეჩი (ვარგა), შიმანოვიჩი, ბოსი (ბოკატოვი), კუჩინსკასი, ზვენიგოროდსკი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, სიჭინავა, გავაშელი, ნოდია, მესხი.

მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა გავაშელმა. ბურთი ასე იქნა გატანილი: ხურცილავას შორეული ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი მოიგერია იარჩუკმა, მაგრამ მას მიუსწრო გავაშელმა და გახსნა ანგარიში. საპასუხო გოლის ავტორია ვარგა (53-ე წ.).

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს ოდესელებმა - 1:0.

“ლელო”, 5 ნოემბერი, 1968 წ.